სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №3/500
(პერიმეტრი)
(აქციის პირობებით)

ქ. ახალციხე 27 დეკემბერი 2019 წ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება (შემდგომში ,,შემსყიდველად" წოდებული) წარმომდგენილი **დირექტორის გიორგი ჟუჟუნაძის** სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსის დათო ქოიავას სახით შემდგომში ,,მიმწოდებელი" ვხელმძღვანელობთ რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „დაცვა" შესაბამისი მოკვლევის აქტის საფუძველზე, უზრუნველყოფს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით **ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურულის დაწესებულებების გაერთიანების ობიექტის-ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის** დაცვას (შემდგომში „ობიექტად" წოდებული"), რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: **ქ. ახალციხე, მესხეთის სახ. დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორია** (შესყიდვის კატეგორია: CPV კოდით 79700000-გამოძიებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები).;

1.2 „ობიექტის" დაცვა განხორციელდება „შემსყიდველის" მიერ „ობიექტის" დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და „დაცვის" მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ;

1.3 „ობიექტის" დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

2. ანგარიშსწორების პირობები

2.1 დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 145 (ასორმოცდახუთი) ლარს, დ.ღ.გ-ს ჩათვლით;

2.2 ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება მიწოდებული მომსახურების შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.;

2.3 „დაცვის" მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 **„დაცვა" ვალდებულია**:

3.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხელშეკრულების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული 1600 (ათას ექვსასი) ლარამდე ღირებულების (დანართი №1) აპარატურის (მოწყობილობები) მონტაჟი-ინსტალაცია შემსყიდველის ობიექტზე;

3.1.2 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) წუთისა მოახდინოს „ობიექტზე" გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთა–აცილება;

3.1.3 „ობიექტზე" მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" და უზრუნველყოს შს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

3.1.4 , „შემსყიდველს" ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

3.1.5 . სიგნალ „განგაშის" მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად – გამოიძახოს „შემსყიდველი" ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;

3.1.6 . არ მიიღოს „ობიექტი" დაცვაში, თუ არ შესრულდა მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნები ან შეიქმნა ისეთი პირობები რომლის გამოც, „დაცვისგან" დამოუკიდებელი მიზეზებით არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც „ შემსყიდველს" ეცნობება წინასწარ;

3.1.7 . იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია „დაცვის" ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა „შემსყიდველის" დაუდევრობამ;

3.2. **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

3.2.1 . „ობიექტის" დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი (სანდო პირი) და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.2 . განგაშის შემთხვევაში „დაცვას" მისცეს დასაცავი „ობიექტის" გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

3.2.3 . უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;

3.2.4 . სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „დაცვას", დაელოდოს „დაცვის" წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

3.2.5 . ელექტრო-ენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები.

3.2.6 . წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის

საკუთრებას და დაცვის მიერ საკუთარი ხარჯებით არის დამონტაჟებული „შემსყიდველის“ობიექტზე) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში 5 სამუშაო დღის განმავლობაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი განსაზღვრული დანართი №1-ით მითითებული ღირებულების შესაბამისად;

3.2.7. უზრუნველყოს მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

3.2.8. არ დაუშვას „შემსრულებლის“ მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვა არ აგებს პასუხს შემსყიდველის თვითნებური მოქმდებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და შემსყიდველისათვის მიყენებულ ზიანზე;

3.2.9 რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს „დაცვას“.

3.2.10 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხევაში, დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობების შემოწმებისა და დემონტაჟის მიზნით, ვალდებულია უზრუნველყოს დაცვის წარმომადგენლების დაშვება ობიექტზე.

4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

5. ხელშეკრულების მოქმედებისა და შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

5.1 მიმწოდებელი შემსყიდველს მომსახურებას გაუწევს 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მოვალეობების სრულად შესრულებამდე.

6. ხელშეკრულების სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დანართი №1, მხარეთა მიერ შედგენილი დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი და მხარეთა შორის გაფორმებული „ობიექტის” მოკვლევის აქტი.

6.2. „დაცვა” უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის მომსახურების „ტარიფის” გაზრდის ან შემცირების შესახებ, რომელიც ორი კვირით ადრე წერილობით უნდა ეცნობოს „შემსყიდველის”. თუკი აღნიშნული ვადის გასვლამდე „დაცვამ” არ მიიღო შეტყობინება „შემსყიდველისაგან“ იმის შესახებ, რომ იგი არ ეთანხმება ცვლილებას, ითვლება, რომ მხარე იღებს ახალ პირობას;

6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულნი არიან ათი დღით ადრე წერილობით აცნობონ ერთმანეთს;

6.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულნი არიან ათი დღით ადრე წერილობით აცნობონ ერთმანეთს;

6.5. დაცვა უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობების შემოწმება და დემონტაჟი;

6.6. დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობები წარმოადგენს დაცვის საკუთრებას;

6.7.სადაო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

6.8.წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილს;

6.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად, დადასტურებულია მხარეთა მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და ყოველი ელექტრონული ეგზემპლაზი ორიგინალია;

7. ინტერესთა კონფლიქტი

7.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

8. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები
და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველის სახელით:

ახალციხის მუნიციპალიტეტის
კულტურის დაწესებულებების
გაერთიანების დირექტორი
გიორგი ჟუჟუნაძე

(ბ.ა)

ქ.ახალციხე, შ ახალციხელის ქ#2
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი _ TRESGE22
სახაზინო კოდი 74818
ს/ნ 424068591
ტელეფონი: (591) 44 97 85

NNLE AKHALTSIKHE MUNICIPALITY CULTURAL INSTITUTIONS UNION

Digitally signed by NNLE AKHALTSIKHE MUNICIPALITY CULTURAL INSTITUTIONS UNION
Date: 2019.12.27 12:34:38 +04'00'

მიმწოდებლის სახელით:
სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის
პოლიციის სამმართველოს უფროსი
დათო ქოიავა

(ბ.ა)

ქ. ახალციხე, პაატა ნათენაძის ქუჩა #35
სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი _ TRESGE22
მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი
№ 707117044
ელ-ფოსტა: samtskhe-javakheti@spd.ge
ტელ:0365- 22-17-65; (577)-52-46-56

Dato Koiava

Digitally signed by Dato Koiava
DN: cn=Dato Koiava, serialNumber=35001055365, o=Citizen, c=GE
Date: 2019.12.27 12:39:02 +04'00'

დანართი 1

თან ერთვის № 3/500 ხელშეკრულებას

დროებით სარგებლობაში არსებული აპარატურა

ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვა
მდებარე: ქ. ახალციხე, მესხეთის სახ. დრამატული თეატრის მიმდებარედ

№	მასალის დასახელება (კოდი)	რაოდენობა	ერთეული	ერთეულის ფასი	ფასი (ლარი)
1	საკონტროლო პანელი კლავიატურა (კოდი)-06/410/56	1	ცალი	255.65	255.65
2	მოძრაობის დეტექტორი კაბელიანი (კოდი)-06/438/02	1	ცალი	29.24	29.24
3	მინის მსხვრევის დეტექტორი (კოდი)-06/438/58	8	ცალი	72.01	576.08
4	რადიო გადამცემის მოწყობილობა (კოდი)-7440	1	ცალი	39.62	39.62
5	8 ზონიანი რადიო გადამცემი (კოდი)-06/410/87 გადამცემი N04100523 პლატა N95743 ყუთი N95743	1	ცალი	478.94	478.94
სულ:					**1379.53**
დ.ღ.გ. 18%					**220.47**
თანხა სულ (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)					**1600.00**

„დამკვეთი"

დირექტორი

გიორგი ჟუჟუნაძე

„შემსრულებელი"

სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დპ
სამმართველოს უფროსი

სამმართველოს უფროსი

დათო ქოიავა

NNLE AKHALTSIKHE MUNICIPALITY CULTURAL INSTITUTIONS UNION

Digitally signed by NNLE AKHALTSIKHE MUNICIPALITY CULTURAL INSTITUTIONS UNION
Date: 2019.12.27 12:35:08 +04'00'

Dato Koiava

Digitally signed by Dato Koiava
DN: cn=Dato Koiava, serialNumber=35001055365, o=Citizen, c=GE
Date: 2019.12.27 12:39:34 +04'00'